ჩვენ ჯანყებაში არა ვრეუფავართო, რამდენიმე ჩვენგანი იმ ლევის მილიციასი იმოკლეს, რომელნიც ჯანყებულებს ებძვიან და ყველა ამის დასამტკიცებლათ, ჩვენც თუ გვიბძნებთ—დღესვე მთელი სოფელი შამოვირინცხებით თქვენს ჯარში და სადაც გავგვზავნით წავალთ სამართაო. წინამძღვანის ბრძანებით რამდენიმე ძროხაც მოგვკეს და ზოგი აჩუქეს, ზოგი მიჭყიდეს ხალხს; მაგრამ ზოგმა არ იხება სვიდვა, სახელდობრ, თფილისის ზოგის ბატალიონმა, მტერთან მოკუსულვართ მუქათა უნდა მოგვტანო, მაგრამ წინამძღვანმა არ უუბულა და თვითან უყიდა და აჩუქა. თ. გიორგიმ იმ დღეს დაითხოვა სიტრანსოკლები და უბძანა—მოკრე დღეს მოსვლა. მართლაც და მოკრე დღეს ომობრი დაიანდებულა სიტრანსოკლები გამოსცხადნენ საზღალთან. ცუდი ამინდი მინც არ მოგვეშვა. რადგან სიტრანსოკლებმა მშვიდობიანობა მიიღეს და, როგორც აღმოჩნდა საქმიანობა,—არც ზირველშივე მივლეთ მონაწილეობა ჯანყებაში,—ამისა გამო წინამძღვანმა ჯარი წამართა სუფრასკენ.

სოფელი სუფრა მდებარებს ვაკე სეობაში,—სოფლის გარეშემო მთის ძირებამდე სულ დასრული ადგილები აქვთ. გზა ჩასდევს მთაზედა, რომელზედაც დიდი ხშირი ტყეა. ამ გზას ძველათგანვე უწოდებენ „სისხლის ხიდათ.“ ბევრი ქრისტიანის სისხლი დაღვრილა ამ ბილიზედა. მართლაც და, თუ აქ მტერმა შაუტია, ჯარი გეჩას გააწეობს! მტერს შეუძლიან ტყიდან დიდი ზანალი მისცეს ჯარს, უფრო იმიტომ რომ აქ ჯარი ჯგუფათ მიდის,—მშინ რადესაც თვითან ჯარი კი მაგდვენს გეჩას დაკლებს, რადგან არც ნიშანში ამოღება შეიძლება და არც შეტყვა. ეს გზა, რასაკვირველია მხედველობაში ჭქონდა წინამძღვანს და იმის მეტადინეობა იმაში მდგომარეობდა, რომ თვალ-ნათლივ ჩაეკლათ. დამზვეკვაკვებმა დაწმუნეს წინამძღვანი, რომ სუფრასოკლები დაშინებულნი არიან და რომ ამ ტყეში აჩაკინ არის დამალული. ამასთანავე გზაზედა წინამძღვანს მოუვიდა დიდოს ნაბისავან ქადალი, რომელშიაც ის აცხადებდა სუფრასოკლების დამშვიდებას და სთხოვდა, არ ჩამოეყვანა ჯარი რადგან ჯარის ჩამოსვლით ტირანსოკლები გაუფუჭდებოდათ—და მით შესაძლო იყო სელმეოკრეთ ადგილებულიყო ხალხი. ამის გარდა მოვიდა ამბავი ზოგოვანიკის თ. ნაკამიძისავან, რომელიც აცხობებდა ჩვენს წინამძღვანს,

რომ ის გამოგზავნებულა ს. ასახასკენ და სთხოვდა თ. გიორგი ვარჯაძეს,—ამასაც ისე წაეყვანა ჯარი, რომ თოთხმეტს თიბათვეს შეერთებულის ძალით ერთთ მი-სუფრასკენ ასახოს. ყველა ამისა გამო სუფრასოკლებმა არ შეიძლება და უფრო საშიშიც იყო, რადგან იმ სეობაში დაბინავებულ ჯარს, მაღლა სერებოდა მტერი სულს ამართმევდა და ისე მოვიდოდა საქმი, რომ ჩვენებს უფლებას დაუწეებდნენ და ჩვენ კი იარაღსაც ვერ ვიხმარებდით, ვერც უკან დაგებუნდებოდით, რადგან ცუდი ამინდიც იყო და მასთანა იმ საშინელს აღმართს გათუნებამდინაც ვერ ვივლიდით; მკრე ჯარიც დაღვლილი იყო დასვენებას ითხოვდა, რადგან მოკრე და მესამე დღეს შეტაკებას მოველოდით. წინამძღვანმა აჩხია ყველასკე უკეთესი ადგილი, რომელიც კი იმ არე-მარეში მოიპუნებოდა და დაბინავა ჯარი. ამ ადგილს ეწოდების „ჩრუ-სის ნაღვირალი.“ ამ წოდებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჩრუსის ჯარი არა-ერთხელ დაბინავებულა ამ ადგილს. ეს ადგილი მდებარებს ერთს მაღალ სერზედა, რომელიც ჩამდებულა ფერდობებით სამივე მხარეს და ამ ფერდობებზედა ამოსულია ტყე—მოთხე მხარეს წამოუწევს მოკრე მაღალი სერი. თვითონ ეს ადგილი უფრო ვაკიანია ვიდრე—დაბალ-მაღალი. წინამძღვანმა გასინჯა ეს ადგილი, დაბინავა, გაათვინია ჯარი და დამის ყარა-ულები დაუენებინა შემდგომის სასით: ფერდობების თავზე იდგა სიმგერველივ ყველგან ერთი რიგი ყარაულეებისა,—დაბლა ფერდობებზედა ტყის შორისადა იდგა მოკრე რიგობა ყარაულეებისა. ამ სასით მთელი ეს ადგილი, სადაც ჯარი იყო დაბინავებული,—შემოტყეული იყო სიმგერველივ—ოჩის რიგის ყარაულეებით. ამ ყარაულეების ხშირათ დაშინავა და დაზვეკა,—თანხმად მიტყეულის ბრძანებისა—ეღო კალად ჯარის მედვეკეს (დეურენს.) ჩვენის მისვლისავე უმაღ ამ ადგილზედა, მოვიდნენ წინამძღვანთან რამდენიმე სუფრასოკლები,—თავი დაუგრეს და მოახსენეს, რომ სუფრასოკლები მშვიდობიანათ არიან და არა გვარი ვაკში ჩაანყებულებთან აღარ აქვთო. ზეტარ ხანს უკან წინამძღვანმა დაითხოვა ისინი თავ-თავის სახლებში უფრო იმიტომ, რომ ადგილებულს ჯარს რამე უსამოვნობა არ მოსვლოდათ ამითან. წასვლის დროს ბევრმა დაბინავს სუფრასოკლებს—გასახ-ვიდი საკლავები, რქე და სხვა. ყველაფრის აღსრულებას დაგვიბრძნენ. ხალხმა ტანს ვახშიმი და მიეცა მოსვენება.

დაიშინჯა კიდევ უარსულები, მიეცა სიფთხილას ბრძანება-
 ჯარის მედლეკეს და მთელმა ბანაკმა მოისვენა. არ ვიცი
 სხვებს როგორ,—ქუ კი კარგა ზომიერათ მოქანტულს,—
 ლაზთთანაჲთ შეძინა. უცნებ ნაშუადღის ორს საათსედ
 შემოგვესმა თოფის სროლა და საშინელი ღრიალი. წა-
 მოვდექით ფეხსედ. ვერ წარმოადგენთ რა საშინელება
 იყო: სამივე მხრიდან მოდიოდა გასურებული ტყვიან. წი-
 ნამძღვანმა მასწინვე დაიარა ყველა მხარეები,—ყველგან ისე
 მაგრათ და მკვიდრათ იდგა ჯარი, როგორც გაჭიმული
 ჭაბჭანი. სროლასედ სროლა იყო ზისუსედ და მისთან
 გაუწვევტელი ხმამაღლივი გიჟინა. თფილისის ადგილობ-
 რივს ზოლგის მესამე ბატალიონის ღრიალმა—თავზარი
 დაგვტა. წინამძღვანი ფიცხლავ მიემართა იქ, მაგრამ,
 დიქრთა, წამბზავი იყო: მთელი ბატალიონი არეული
 იყო, ზოგი წევს, ზოგი ფეხსედ დგას, ზოგი ჩახოქი-
 ლია,—იყო უთავბოლო თოფის სროლა იმათ მხრივე და
 საშინელი ღრიალი!...აი რას წარმოადგენდა ეს მხარე-
 აფიცრები ზოგი იქ იყო, ზოგი არა,—მაგრამ ერთს ად-
 გილს დიდხანს იმათგანი აწავინ დაჩენილა. არ იქმნა
 ვერ დააყენეს რიგინათ ფეხსედ,—აუგამაღეს თოფის
 სროლა და ღრიალი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. შემდეგ
 წინამძღვანმა უბანა თოფები სულ დაეცაჩივლებინათ და
 უჯინ მიმდგარიყენენ. თუძრა ამ ბატალიონმა რამდენჯერ-
 ძე ერთხმათ ესროლეს თოფები,—მაგრამ თითონც არ
 იცოდნენ—საით მიდიოდა იმათი ტყვიან. ეტუობოდა
 რომ მტერი ამ სუსტს ადგილს უფრო მოაწვა. რა და-
 იწივა ბატალიონმა უგან,—მასწინვე წინამძღვანის ბრძა-
 ნებით ფშავ-თუშების დასმა დაიჭარა იმათი წინა აღავი.
 რა მოვიდნენ იმ ადგილს, ფშავლებმა და თუშებმა მოი-
 მართეს თოფები და ფიცხლავ წაწვენენ—სერსედ. ესრო-
 ლეს ერთხელ—მეორეთ და მით მოსპეს მტერის მხრი-
 დამ სროლა. ამასობაში ლეკებმა რამდენჯერძე შეუტოეს
 სხვა მხარეებსაც, სადაც ქართლის დასება, თელავის და
 სიღნაღის გამანდები იდგა,—მაგრამ ვერა გააწევს რა,—
 ამათმა ბეჭითმა და მარჯვე სროლამ უკუაქცია მტერი.
 ცხენებსაც დაეცნენ ლეკები, მაგრამ გავზახნილმა ორმოც
 და ათმა გაცმა თელავის და სიღნაღის გამანდისამ,—ბეჭ-
 რი გადაატარეს უიკამელა და მით დაუშალეს ცხენების
 გაწევა.

(შემდეგ უჩება.)

კიჩოელი.

სამართნავს ლექსები

I

გარგი ვაჟი ვატი შევიდეს ომში,
 თოფი რომ დასცაღოს ხმალი მოისწროს,
 იმთენი ვასტი ჭქმნას სწორთ ამხანაგში
 მტერი მარჯვედ მოჭკლას სხვამ არ დასწროს.

ჭალალი ინდომე ნუ გინდა სხვისა,
 ვინც არამს ინდომებს ის ეშმაკისა.
 ბანება რომ მოვა მადლისა მღვთისა,
 ერთის ღრუბლით სულ ქვეყნა მოიწწროს.

ჭკვიანს ვაცს ექმნება გონება გონი,
 სამოცი სჯულია ადამის ტომი;
 ჩვენში არ ერევა შავი მილთონი:
 ადათია, ცუცხლში უნდა დაიწოს.

დიქრთს გაუჩენია საჭმელად ზური,
 სიტყვას მოგასხენებ მომიცდე უური:
 საყდაწს უნდა ლოცვა, ღვთის სამსახური
 მუბაღე დავითამ არ დაივიწყოს.

ზღვას რას გააშრობს ვაწსკვლავის სიცხე?
 მტერანი ცხრილით როგორ უნდა აიწყოს?
 ქარი რას დააკლებს ქვიტკირას კვდესა,
 თუ გინდ წლის წლამდისინ ქროლა დაიწყოს?

თუ გინდ გაათეთრო სპილენძის თასი,
 სპილენძი ერთი, ვერცხლი ათასი;
 ჭიქს არ ედება აღმასის ფასი,
 თუ გინდ ოქროს ბეჭედშიც გაეწყოს.

ზოგი ვატი არის ეშმაკის მუშა,
 ეშმაკის ნაშენი დიქრთმან დაიუშა!
 გოგრა არ გახდება შირაზის მუშა,
 თუ გინდ მადლა თაღნაშიც დაეწყოს.

თუ გინდ თევზი დაჭკლავ, არ დაიუგარებს,
 ფეხთ ინის დადება რათ უნდა ვირებს!
 ქვიშა ბანბის ლეგს ვერ დაიჭირებს
 თუ გინდ უუთნის საბანშიც გაეწყოს.

ნურკინ იტყვიოთ, ეს უიწვილი ვინა ვარ?
 ანაზანა ვიცი სიტყვიოთ წინა ვარ,
 საოთნაო მქვიან არუთინა ვარ:
 სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს.

II

სოფელსა და სოფელს-შუა მთას ამბობენ, მართალია, ბუღბუღები თქვენის ბაღის გზას ამბობენ, მართალია, ხანი-მახინის სელმწიფისას დას ამბობენ, მართალია, ბევრა ქვეყანა გინასავს ზღვას ამბობენ, მართალია.

შეგვრადე, ხელი გაწვდინე, დამხსველიტე მყვალავითა, თათებზედ სისხლა ჩამოდის იფრად-იფრად ლაღავითა; მე ამ ნადვალს ვერ გაუძლებ გული მაქვს მისხლავითა რას მოკეშო მე, ლამაზო, თვალი მექმნა წვაღავითა, ჩემს ცაღდა ოცდა ოცსა სხვას ამბობენ, მართალია.

ვინც რომ მოვაგინებ, ჭკვალზედ უფრო ჭკვას დასდებენ, გულისუფრო წაერთმევა, ვისურზედან ხმალს დასდებენ; ნადვალსად შეიქნება თითქმის გულისა მთას დასდებენ, ან ჩაგდებენ ხაროში, ზედ წისქვილის ქვას დასდებენ, ჩამსვლელი ვეღარ ამოვა, ჭკვას ამბობენ მართალია.

დამკარგე, ნახინს ვერ გაველ, დამკარ ზღვისა სიღასავით, ახლა შიშით დოს უბერამ, შენ გამთუთქე შიღასავით ნახვერამდის ორმოში ვარ გატეხილი ქიღასავით. ახლა მაინც დამეხსენით, გავცვითილვარ ლიღასავით, ზაოთხარს გურგინ ხანის ემას ამბობენ, მართალია.

ბრძოლა რომის დასაპრობლად

(პეპლეგო) *).

ი ტ ა ლ ი ა

ამასობაში ამალასენტას მოესმა წყლის შემოვარდნის შუილი. დაფეთებულმა ამალასენტამ დაიწყო აქედ-იქით ტრიალი, რომ როგორმე გასაღელი კარი რამ ეპოვნა; მიხედ-მოხედა კედლებს, მაგრამ დელფინებისა და ტრიტონების მეტი ვერა დაინახა რა. თვალი მოჰკრა ლუსკუმად გამოკვეთილს თავს მეღუზისას, რომელიც ჰვარავდა სანათურს და ერთი საშინლად დაიკივლა. მეღუზის თავი იქით მიწეულიყო და სანათურიდამ გამოიჭყიტებოდა ცოცხალის ადამიანის პირის სახე. ამალასენტას მთელმა ტანმა თრთოლა დაუწყა, მიეყუ-

და მარმარილოს კედელს და თვალი მიაპყრა ამ საშინელს სანახაობას. დიან, პირის სახე იგი იყო გოდელინდისა, სრულიად შეშლილი მტრობისა და ბოროტებისაგან.

ამალასენტას მუხლი მოეჭრა და ორიეხელი მიიფარა პირის სახეზედ.

— აქ, აქა ხარ შენ!

ამის პასუხად ხრინწიანის სიცილის ხმა მოესმა

— დიან, ამელუნგების რძალო, მე აქა ვარ და ჩემთან არის შენი აღსასრულიცა. ეს სახლი ჩემია—იგი შენ სამარეთ შეგექნება. მე ეს სახლი ვიყიდე კასიოდორისაგან, მე უკან გამოგედევნე შენ, რომ შურის-ძიებითა ჩემი გულის წყურვილი მომეკლა. მე სიხარულით დავსტკბები, როცა ელდა და ტანჯვა მაგ ამაყს სახეს დაგიბრეცს და შეგიშლის მაგ ამპარტავანს სანახაობას,—ოჰ, მე ხარბად შევსავ მთელს ზღვას შურის-ძიებისაო.

— შურის-ძიებისას! რისთვის, რისთვის! რა მიზეზია მაგ სიკვდილით მოსილის მტრობისა და მძულვარებისა?

— რაო, მაგას შენ კითხულობ კიდევ! მართალი ხარ, ბედნიერება გულმავიწყია, მაგრამ მტრობას კი თავის დღეში არა დაავიწყდება რა. განა დავავიწყდა, რომ ოდესღაც რავენნაში ორი პატარა ქალი მინდორზედ თამაშობდნენ? ერთი მათგანი მეფის ასული იყო, მეორე კი ბალტთა გვარისა. ორივე ლამაზნი და მხიარულნი იყვნენ. სხვათ პატარა ქალებს, ამ ორთთან მოთამაშეთ, უნდოდათ დედუფალი ამოერჩიათ და ამოარჩიეს გოდელინდა იმიტომ-რომ იგი შენზედ უფრო ლამაზი იყო და არც იმისთანა გულ-ამაყი იყო როგორც შენ. ორჯელზედი-ზედ ამოარჩიეს გოდელინდა. ხოლო როცა მესამედაც იმის ამოარჩევა უნდოდათ, მეფის ქალი სრულიად აინთო რისხვითა და 'შურითა, წაველო ხელი ხეხილის-საკვეცს მაკრატელსა....

— ოჰ, ღმერთო მიხსენ!.. ნუ, ნულარ იტყვი, გოდელინდავ.

(*) იგეგია № № 19, 21, 22, 23 და 24.

— და ჰსტუორცნა პირის სახეში გოდელინდას. საშინელის კივილით, სისხლში მოსვრილი დავეცი მე მაშინ დედამიწას. მთელი მარცხენა ლოყა თავიდან ბოლომდე გამეხა, მარცხენა თვალი გამომეთხარა. ეჰ, რა რიგად მტკიოდა, რა რიგად! მე თითქმის ეხლაცა ვგრძნობ იმ ტკივილსა.

— შემინდე, შემინდე, გოდელინდავ, ამოიკენესა ამაღასვინტამ.

— შემინდეო! შენ გინდა, რომ მე შენ ეგ შეგინდო? არა, შენ მაშინ ძლევა-მოსილებით ფარფარებდი, ბურთი და მოედანი შენ დაგრჩა, მერე როგორ? სამუდამოდ — გოდელინდა შენ ველარას ფერში ვერ შეგეცილებოდა: იგი ჰსწუხდა და ტიროდა ჩუმ-ჩუმად, ყოველს ადამიანს ემალებოდა მაგრამ გაიარა რამდენიმე წელიწადმა. მეფის დარბაზს მოვიდა კეთილშობილი ევტარინი; თვითონაც სწეული იყო და შემობრალო ცალთვალა, დამახინჯებული ქალი. იგი იმდენის გულ-კეთილობით, იმოდენის გულის-ტკივილით მექცევოდა მე, მახინჯსა, მაშინ როდესაც სხვანი ყოველნი ზურგს შემაქცევდნენ ხოლმე როცა დამინახავდნენ! ვიშ, რა სასიამოვნოთ ჰქონდა ამისთანა ქცევა ჩემს მტკიენეულს გულსა! ბოლოს საქმე იმაზედ მიდგა, რომ მე ის ცოლად მიერთავდა. მაგრამ შენ ეს შეიტყე თუ არა, მაშინვე იმის ცდას შეუდეგ, რომ წაგერთმია ჩემთვის ევტარინი; იქვის გამო კი არა, — არა, შენ ის არ გიყვარდა: შენ მხოლოდ ის გინდოდა, რომ შენ დაგრჩენოდა სამეფოში პირველი კაცი, მემკვიდრე გოთთა სამეფო გვირგვინისა. ბედმაც ხელი მოგიმართა; მამა შენი არ იყო ჩვეულ შენთვის რაზედმე უარი ეთქვა და ევტარინმაც დავიწყებას მიჰსცა თვისი გრძნობა ცალთვალა მახინჯისადმი, როდესაც მას მანე გაუშალა მშვენიერმა მეფის ქალმა. მე ჩემს ბედად დამინიშნეს საქმროდ — თეოდოლადი — ეგ საბრალო ქალაჩუნა.

— გოდელინდავ, გეფიცები, მე არ ვიცოდი, რომ შენ ევტარინი გიყვარდა. მე როგორ შემეძლო... —

— მართალია, შენ როგორ შეგეძლო წარმოგედგინა, რომ ჩემისთანა დამახინჯებულს არსებას

მაგისთანა მაღალი გრძნობა ჰქონოდა? ჰოი, წყუულო, ნეტავი გყვარებოდა მაინცა! მაგრამ არა, — შენ მარტო სკიპტრა გიყვარდა და თვით ევტარინი კი გააუბედურე. მე მინახავს ევტარინი შენთან ერთად, იგი წვალეზული იყო, იგი გვემული იყო. მწუხარებამ გაუთხარა მას საფლაფი. მე წამართვი შენ საყვარელი კაცი და მოაკვდინე კიდევც... სისხლი, სისხლი მწურის მისდა სანაცვლოდ!...

განიერმა კამარამაც ციხისამ ხმა მოჰსცა: სისხლი, სისხლიო!

— მიშველეთ, დაიკვილა ამაღასვინტამ, დაუწყო ხელით კედელს ცემა და მის გარეშემო გაფეთებულად სირბილი.

— იყვირე, იყვირე, აქ შენ არავინ მოგეშველებს, აქ შურის-ძიების ღმერთის მეტი სხვა არა ვინ არის. შენი აღსასრულის საათი მოვიდა.

— რა გინდა ჰქნა?

— მინდა შენ ჩავახრჩო, აუჩქარებლივ ნელნელა ამ აუზში, რომელიც კასიოდორს აუშენებია. აქ, ამ კედლებ შუა მრავალი უპატიურობა მიმიღია შენგან, ბევრჯელ ვჩაგრულვარ. გახსოვს ამ აუზთან რამდენ ჯერ გამიხდია შენთვის ფეხსაცმელი და გამიშრია შენი საცვალი ტანისამოსი? აქ გითხრი კიდევ საფლაფსა.

ჰსტქვა ესა თუ არა, ჰახრაკს ხელი დაჰკირა.

რგვალი რკინის ფიცარი ორად გადიშალა, თვითო მისი ნახევარი კედლებზედ ჩამოეკიდა. ამაღასვინტას ელდა ეცა, რომ დაინახა ბნელი სივრცე, მის თვალთა წინ წარმომდგარი. საშინელის ჰახანით წყლის საგებრები მოეცალა მილებს, ტბის წყალი შემოვარდა და გასაოცებელის სისწრაფით აბანოს ოთახი წყლით იესებოდა.

ამაღასვინტა მიხვდა, რომ მას აუცილებელი სიკვდილი მოეწოდა და მოიკრიფა რა ყოველი ძალღონე თვისი, დაემორჩილა ბედის-წერას: ერთგან კედელზედ გამოკვეთილი იყო ჯვარცმა ქრისტესი. ამაღასვინტა დაეცა მის წინაშე მუხლებზედ, მიი-

ფრა თვალბზედ ხელი და მოჰყვა ლოცვასა. წყალი კი თან და თან უფრო მალლა ამოდიოდა ასე რომ კიბესაც მოადგა.

— შენ ლოცულობ კიდევ! შეჰყვირა გოდელინდამ: შორს მაგ ჯვარცმისაგან!

ამ დროს უეცრად კედლის მიღებდამ ყოველ მხრივ წამოხეთქა ცხელმა წყალმა და ოთახში ორთქლი დადგა.

ამალასენტა ეცა შუაგულს ადგილს, მედუზის ლუსკუმის ახლო, საცა ჯერ კიდევ წყალი არ მოდგომილიყო. აქედამ ამალასენტა რომ ბაქანზედ ასულიყო, მას შეეძლო განსაცდელი ცოტახნობით შეეფერხებინა; გოდელინდასაც ეგ უნდოდა, რომ ამალასენტა უფრო დიდხანს ტანჯულიყო განსაცდელის მოლოდინითა და თვითონ ამით ესამოვნა.

წყალი მარმარილოს იატაკზედ ამოვიდა კიდევ და ამალასენტას ფეხს შემოჰსწვდა. საწყალი ამალასენტა სწრაფად ავიდა ბაქანის კიბეზედ, გადმოეყუდა მუაჯირს და დაიყვირა:

— ყური მიგდე, გოდელინდაე! ჩემი უკანასკნელი ვედრება მოისმინე, მე გვევდრები ჩემის თავისთვის კიარა, ჩემის ხალხისათვის, ჩვენის ხალხისათვის—პეტროსას უნდა ხალხის დაღუპვა და თეოდოლადიც....

— მე ეგ წინაღვე ვიცოდი, რომ სამეფოზედ ფიქრი ყველაზედ უფრო ძალიან გაწუხებს შენ. მოკვდი, სამეფო ჩვენი დაღუპულია სამუდამოდ. ბელიზარი მოახლოებულია კიდევ და გოთთის ხალხს ამ ამბავს არავენ შეატყობინებს.

— ჰსცდები, შე სატანავ, იმათ შეტყობილიცა აქეთ ჩემგან. გაუმარჯოს ღმერთმა ჩემს ხალხს! სიკვდილი მტერთა მისთა და ცხონება სულსა ჩემსა!

ამ სიტყვებით ამალასენტა გადავარდა ბაქანიდამ წყალში და მსწრაფლ დაიძირა მის ზეირთთა შორის.

გოდელინდა დიდხანს შეჰყურებდა იმ ადგილს საცა იდგა ამას წინად მისი სხვერპლი.

მერე შეხედა წყალს; დაინახა წყლის ზედაპირზედ მოტივტივებული ყელსახვევი ამალასენტისა.

— სიკვდილშიაც კი ეს დედა-კაცი ჩემზედ უდიდესი და უმაღლესია, ჰსთქვამან: რა ხანგრძლივად იყო ჩემში მტრობა და რა მოკლე ყოფილა წუთი შურისძიებისა!

ამ ამბის შემდეგ რამდენსამე დღეს უკან პეტროსას სადგურში შეყრილიყვნენ რამდენიმე წარჩინებულნი რომაელები. მათ შორის სამღვდლონიც იყვნენ. მათ სახეზედა გამოხატული იყო გულისწყრომა, რისხვა და ზარი.

— ხმა-მალლა და საქვეყნოდ გიცხადებთ თქვენ ჩემის იმპერატორის სახელითა, წარმოჰსთქვა პეტროსამ: რომ შეიძლება ფათერაკი რამ შეამთხვიონ და ძალა რამ იხმარონ მეფის შთამომავლობის გვამსა ზედა. აი ცხრა დღეა გასული მას აქედ, რაც იგი უჩინოდ იქმნა რავენნიდამ. იმავე დროს უჩინოდ იქმნა დედუფალი გოდელინდაც. მე ყოველგან გავგზავნე მღევარი და მზვერავი, მაგრამ აქამომდე არა რა ამბავი არ მომსვლია; ვაითუ...

სიტყვა ვერ დაასრულა. რალაც ბუნდი ხმაურობა მოესმათ ჰერკულესის მოედნიდამ. ამ ხმაურობის უმაღლვე კართ უკან აჩქარებულის ფეხის ხმაც მოისმა. ფარდა გადიწია და მატყრით მოსვრილი ბიზანტიელი მონა შემოვარდა ოთახში.

— ბატონო, იგი გარდაიცვალა, იგი მოაკვდინეს, დაიძახა მონამ ხმა-მალლა.

— მოაკვდინესო! განიმეორა ერთხმად ყველამ.

— ეინ მოაკვდინა? ჰკითხა პეტროსამ.

— გოდელინდამ, თავის აგარაკში, ბელვენერის ტბაზე.

— მიცვალებული სად არის? სად არის მკვლე-
ლი მისი?

— გოდელინდა იფიცება, რომ დედუფალი
ამალასენტა თავისის მიზნით დაიხრჩო აბანოში,
რადგანაც ფრთხილად ვერ მოექცა წყლის მიღებ-
საო. თვითონ გოდელინდა ხალხის რისხვას გაექცა
და დაიმალა ვერეტრის ციხეში.

— კარგი! ჰსთქვა პეტროსამ: მე მივდივარ ეხ-
ლა გოთთა მეფესთან და თქვენც გთხოვთ წამობ-
ძანდეთ, კეთილშობილნო გვამნო! თქვენს მოწმო-
ბას დავემყარები იმპერატორის უისტინიანეს წი-
ნაზე.

ჰსთქვა და გაემართა მეფის სასახლისაკენ.

მეფე წინ მოეგება და განუწოდა ორივე ხე-
ლი, მაგრამ როცა დაინახა რომ პეტროსას ამა-
ლაც თან-მოსდევს, უცბად შედგა, რადგანაც ელდა
ეცა რომ დაინახა პეტროსა გაჯავრებული და წარბ-
შექმუნებელი.

— შენ, გოთთა მეფეო! შეჰყვირა პეტროსამ
კარის ღირებულ დაადგა ფეხი თუ არა: მე ბიზან-
ტიის სახელით გთხოვ მომცე ანგარიში მასზედ თუ
რა შეემთხვა მეფე თეოდორისის ასულს! სად არის
ამალასენტა?

მეფემ გაოცებით შეხედა დესპანს, ჰკვირობდა
მის ცბიერობას, ჰსჩანდა რომ მეფე ვერ მიუხვდა
აზრსა. მეფემ ხმა არ გაჰსცა.

— სად ირის ამალასენტა, სადა? განიმეორა
პეტროსამ და ფეხი წინ წადგა.

— იგი გარდაიცვალა, ჰსთქვა თეოდოლაღმა
და აირივა.

— იგი მოკლულია, დაიყვირა პეტროსამ: ასე
ლაღადებს მთელი იტალია, მოკლულია შენგან და
შენის ცოლისაგან. იუსტინიანე, ჩემი უმაღლესი
ბრძანებელი, მწე-მფარველი იყო იმ დედა-კაცისა,
იგი სამაგიეროს გადაგიხდის: მე შენ ომს გიცხა-
დებ ჩემის იმპერატორის სახელითა, ომს—პირის-
პირ თქვენდა, სისხლის მსმელნო ბარბაროზნო,
ომს—პირის-პირ მთელის თქვენის გვარეულო-
ბისა.

— ომს პირისპირ მთელის თქვენის გვარეუ-
ლობისა! განიმეორეს რომაელთაცა, გატაცებულთ
ამა წუთის მედიდურობით და გოთთა მძულვარე-
ბითა. ჰსთქვეს ესა და როგორც ტალღა ზღვისა
მიწიენენ ათრთოლებულს მეჟუზედ.

— პეტროს, წაიბუტბუტა ელდაცემულმა თე-
ოდოლაღმა ხმადალა: რად იფიწყებ ჩვენს მიერ
დადგენილს შეკრულობას, ხომ შენ თვი-
თონ...

პასუხის მაგიერ დესპანმა ამოიღო უბიღამ
დახვეული ქალღი და დახია.

— ყოველივე კავშირი ჩემის იმპერატორისა
და ამ სისხლში მოსერილ გვარეულობის შორის
მოსპობილია დღეის იქით, ჰსთქვა პეტროსამ დიდე-
ბულის სახის მეტყველებითა.

— ოჰ, ღმერთო ამოიკენესა თეოდოლაღმა:
რაგინდა ჩემგან პეტროს?

— მე მინდა რომ შენ შენს ბედს დაემორჩი-
ლო და გასხვა გოთნი იტალიიდან. შენ და გოდე-
ლინდას კი წარგადგენთ განსასჯელად ბიზანტიაში
იუსტინიანის ტახტის წინაშე, იქ...

სიტყვა გააწყვეტინა გოთთა საყვირის ხმამ,
და ოთახში შემოცვივდა ამოღებულის ხლმებითა
მთელი ჯგუფი გოთთა მეომარებისა, რომელთაც
წინ მოუძღოდა გრაფი ვიტიგესი.

— ვინ ჰბედავს ამისთანა საუბარს გოთთა მე-
ფის სასახლეში? იკითხა დადინჯებულის ხმით გრაფ-
მა. პეტროსა ერთხანად შეფთხა, მაგრამ მალე მო-
ვიდა თავის გონზედ.

— შენ გრაფო ვიტიგეს, უთხრა პეტროსამ:
არ გეკადრება წამოესარჩლო ამ კაცის მკვლელობა.
მე მაგას ვიწვევ ბიზანტიაში, რათა წარსდგეს იმპე-
რატორის წინაშე განსაკითხავად.

— ეს ვითხრა და შენ, ამელუნგო, მართებუ-
ლი პასუხი ვერ უგე? შეჰყვირა მოხუცებულმა გოთ-
თა წინამძღომელმა, მიუბრუნა რა სიტყვა მე-
ფესა.

მეფემ ხმა არ ამოიღო.

— მაშ მის მაგიერად ჩვენ გაგცემთ პასუხს, ჰსტეკა ვიტიგესმა: მაშ დაიხსომე შენ, ბერძენო. დაიხსომეთ თქვენც გულმრუდენო და უმადურნო ჩავენნელებო, რომ გოთთა ერთი თავის-უფალია და ცისქვეშეთზედ არავენ მიაჩნია არც ბატონათ, არც გამკითხავათ.

— მაშ კაცის-კვლა, სისხლშესვრილი მოქმედება თქვენში განუკითხავად ჩჩება? იკითხა პეტროსამ.

— როცა მაგისთანა ამბავი მოხდება ხოლმე ჩვენში, ჩვენვე განვიკითხავთ და სასჯელსაც ვსდებთ. ხოლო უცხოეთელს არ მოვუშვებთ და ნამეტნავად ჩვენს მტერს, — ბიზანტიის იმპერატორს. მას არამც თუ ჩვენს მეფეს არ მივცემთ ხელში, არამედ უკანასკნელს გოთის მონასაცა.

— მაშ თეოდორადის ბრალი და სასჯელი თქვენ გადაგხდესთ დღეის იქით. ჩემის ხელმწიფის სახელითა თქვენც გიცხადებთ ომსა, უთხრა პეტროსამ: — თრთოდეთ წინაშე იუსტინიანისა და ბელიზარისა!

ამის პასუხად გოთებმა სიხარულის ძახილი შექმნეს.

პეტროსამ იტალიაში მონდობილი საქმე შეასრულა. რავენნიდამ წასვლის უწინარეს გაუგზავნა იუსტინიანეს დაწვრილებითი მოხსენება მისდამონდობილ საქმის თაობაზედ და ბოლოს ასე დაასრულა წერილი:

„ამ სახით, ხელმწიფეო, შენ ერთის მხრით უნდა კმაყოფილი იყო შენის ერთგულის მოსამსახურისა და მეორეს მხრით მისი, რომ საქმე ასე კარგად დაეწყო იტალიაში. ბარბაროზთა შორის განხეთქილება არის და ორად განიყენენ: ტახტზედ ზის ყველასაგან მოძულეებული მეფე, უნიკო და ორგული; იტალიის ხალხი ყველგან შენკენ არის; სასწაული რამ უნდა მოხდეს, რომ შენის საწადელის აღსრულებას კეთილი ბოლო არ მიეცეს.

„მხოლოდ ერთი რამ უსაზღვროდ მაწუხებს, ის, რომ მე ვერას გზით ვერ შევიძევე სიკვდილი-

საგან დამეხსნა უბედური ასული თეოდორისისა. გვედრები დაარწმუნო ჩემი უმალღესი მბრძანებელი, მეუღლე იმპერატორისა, რომელიც თავის დღეში ჩემი მწყალობელი არ ყოფილა, რომ მე თვითვეულად აღვასრულე მისი ბძანება შესახებ გოთთის დედუფლის ამალასეინტისა, რომლის ბედისათვისაც ასე გულმხურვალედ ზრუნავდა, როცა წამოსვლის წინად ეახლდი გამოსათხოვნელად ჩემს ხელმწიფას. რაც კი შეეხება თეოდორადს და გოდელინდას, რომელთაც ჩვენ გადმოგვცეს გოთთა სამეფო, ამათ გამო ვბედავ მოვახსენო დიდს ხელმწიფას თეოდორას ერთი კანონი უმალღესის კეთილ-გონიერებისა: საშიშარია ხელმწიფის სასახლეს დაუახლოვონ ისინი, რომელთაც ჩვენი ხეაშიადი იცინა.“

ეს წერილი გაუგზავნა თუ არა, პეტროსა ბიზანტიაში წასვლის მზადებას შეუდგა. მას უნდოდა ფეხ-დაზმით სიარული, აუჩქარებელი, იონის ზღვის პირ-პირ სვლა, რომ ალლო აელო მისი, თუ ხალხი რას ჰფიქრობს და საით მიიწევს ხალხის წადილი და გულის თქმა. იგი მეტად მადლიერი იყო თავისის მოღვაწეობისა, იტალიაში, როცა ამაზედ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, — და ეძლეოდა ოცნებას მასზედ თუ რა ჯილდო მოეღოს ბიზანტიაში. პირველი რომ იგი მიღის თავის ქვეყანაში ერთი ორად მდიდარი მასზედ რაც მანამდე იყო, მეორე რომ იქ თავის ქვეყანაში იმედოვნებდა თავადობის მიღებას ჯილდოდ. რა რიგად უხაროდა პეტროსას როცა წარმოიდგენდა, რომ იგი დღესა თუ ხვალ, როგორც თანასწორი გვერდთ დაუდგება ნარხესსა, თავის ამპარტავან ბიძაშვილს, რომელმაც ამისათვის არაფერი კეთილი არა ჰქმნა რა!

რამდენსამე დღის შემდეგ იგი გამოეთხოვა თვის მეგობრებსა რავენაში, ჩაჯდა დესპანის ხომალდში „ნემეზიდაში“ და წამოვიდა სრულიად კმაყოფილი და ბედნიერი.

რა მიუახლოვდა ბიზანტიას, პეტროსამ თანხმად თეოდოროსთან დადებულ პირობისა, გაგზავნა თალქნიანი ნაფი ლამპსაკილამ რომ თეოდოროს აცნობონ მისი მოსვლა. აი გამოჩნდა კიდეც ბიზანტის ნაფთ-სადგური. ჯერ ხომალდი პეტროსასი ნაფთ-სადგურში არ შესულიყო, რომ შორს გამოჩნდა თეოდოროს საკუთარი გემი. ის გემი წინ შეხვდა დესპანის ხომალდს და რამდენსამე წუთს შემდეგ მოისმა გემიდან ბძანებაცა, რომ ხომალდი დესპანისა შემდგარიყო. როცა ნაფი და ხომალდი ერთმანეთს დაუსწორდნენ, ხომალზედ გადმოვიდა ალექსანდრე. მან ხომალდის მმართველს მიაწოდა რაღაცა ქაღალდი. მმართველმა დახედა ქაღალდს თუ არა, ფერი ეცვალა ელდისაგან. ალექსანდრე მიუბრუნდა პეტროსას და უთხრა:

„იმპერატორის იუსტინიანეს სახელითა! შენ სასჯელში მიგცეს და სასჯელად დაგინიშნეს ხერსონესის მადნების თხრა იმისათვის, რომ ყალბი ოქმები შეადგინე, უკანონოდ ახდევინე ხალხს სახელმწიფო გარდასახადი და მტრების ხელში ჩააგდე ასული თეოდორიხისა. იმპერატორს გული უთქვამდა რომ შეენდოთ შენთვის, მაგრამ ამაღასენტას სიკვდილით უნუგემოდ შთომილმა ხელმწიფამ ჩვენ-მა თეოდორამ გაღუშალა იმპერატორს ყოველი შენი აღრინდელი შეცოდება და დაარწმუნა, რომ შენ და გოდელინდას ერთი პირი მიგიციათ და ერთად გიმოქმედნიათ. ყოველი შენი ქონება სახასოდ დაიდვა. ამასთან თეოდორამ ერთი რამ დამაბარა შენთან, უთხრა ეს ალექსანდრემ და მერე ყურში წაჰსურჩულა: თეოდორამ დამაბარა, რომ შენ თვიჯონ შენს ჭკვიანურს წაგნში მირჩევილი ბოლო მოგულო მას, ვინც ჩვენი ხეაშიადი იცისო.“

ალექსანდრე ისევ თავის გემში ჩაჯდა და პეტროსას ხომალდი „ნემეზიდა“ კი გამობრუნდა უკან ბიზანტიის ნაფთ-სადგურიდან და სწრაფად თვალიდამ მიეფარა.

(შემდეგი იქნება.)

**სახალგაძვანელონი, შადგენილინი
ი. გოგაბაშვილისაგან.**

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, სსლი ვრცელი და შეკვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისუიდემა გამომცემლის გრიჭუროვის წიგნების მაღაზიაში გუკიის ხიდთან. ვინც ნაღდ ფულზედ ასს, ან მამეტეუელს ეგზემპლიანს ერთბაშთ იყიდის, იმას ეგზემპლიანი დაეთმობა 9 კაპიკათა.

დარჩევა მასწავლებელთათვის შესახებ ხმარებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი ერთი შაური, ისუიდემა იქვე და მელიქიშვილის სტამბაში.

დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, გამოცემა ჰიჭველი, შემკული მზაყალი სურათებითა, ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური, ისუიდემა ვანთანოვის წიგნის მაღაზიაში გუკიის ხიდზედ ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ერთთ ოც და ათ ეგზემპლიანს, ან მამეტეუელს, იმას დაეთმობა უფლო ეგზემპლიანი სუთ შაურათ, ყდაიანი ორ ანაზათ.

ბუნების ძარი, ანუ საკითხავი წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შეესებული და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა, ფასი სუთიქტი შაური. ისუიდემა ვანთანოვის მაღაზიაში. ეგზემპლიანი დაეთმობათ თოთხმეტ შაურათ, ვინც თხუთმეტ ეგზემპლიანს ერთთ ნაღდ ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთთ წაიღებს ოც და ეგზემპლიანს და სამ ანაზათ ას ეგზემპლიანის ერთთ მუიდეკლას. ვისაც სურს ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საქმავილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა ჰიჭველი, ფასი ექვსი შაური. ისუიდემა თფილისში ვანთანოვის და გრიჭუროვის მაღაზიებში და ქუთაისში სკიმონ ჩომახიძესთანა.

ისუიდემა უფ. ვანთანოვის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი **ბლოზა მუჟე პეკალე მმოღისა** გამოცემული ზაქ. კიჭინაძისაგან. ფასი ერთი შაური.